ხელშეკრულება N42
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 7 მარტი 2019 წელი

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო", (შემდგომში „შემსყიდველად"), წარმოდგენილი დირექტორის კახაბერ გვანცელაძის სახით, და შპს ,,ბი ემ სი გორგია", წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ლევან გელაშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებლად"), მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. ,,მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. ,,მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") _ ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV 31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა) - საქონლის შესყიდვა, დანართი N1-ის შესაბამისად.

3. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

3.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 7 მარტი.

მუხლი 4. ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 86 (ოთხმოცდაექვსი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

4.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

4.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტიის პირობები

7.1 მომწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიმწოდებელი საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს და არსებულ სტანდარტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი საქონლის მიწოდებიდან 10 დღის განმავლობაში იტოვებს უფლებას განახორციელოს კონტროლი ან/და გამოცდა, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვლისწინებულ ტექნიკურ პირობებთან (ინსპექტირება).

8.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმით:

8.3 მიწოდებული საქონლის შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით ხელშეკრულების პირობებთან.

8.4 საქონლის მიწოდების შეთნხმებული ვადების დაცვის მონიტორინგი;

8.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

8.6 იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირებისას გამოვლინდა ნაკლი ან/და დეფექტი, შემსყიდველი ადგენს შესაბამის აქტს, სადაც მიუთითებს ნაკლის ან დეფექტის შესახებ.

8.7 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებაში დაფიქსირებულ ვადაში უზრუნველყოს ინსპექტირებისას გამოვლენილი ნაკლის ან/და დეფექტის გამოსწორება.

8.9 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებს შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: დამხმარე სპეციალისტი (სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა) იმედა მაჩაიძე.

9. საქონლის მიღება_ჩაბარების წესი

9.1 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

10. მხარეთა ვალდებულებები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა

და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.
15.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

15.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო“

მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29-29ა; მე-3 სართული;

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ TRESGE22

ა/ა GE24NB0330100200165022,

ს/კ 404905475

დირექტორი

_____ კახაბერ გვანცელაძე

„მიმწოდებელი“:

შპს „ბი ემ სი გორგია“,

მისამართი: თბილისი. წერეთლის გამზ. 140

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი“

ბანკის კოდი:

TBCBGE22

ა/ა GE62TB1007536020100008

ს/კ 245621288

დირექტორის მინდობილი პირი

_____ ლევან გელაშვილი

დანართი N1

დანართი N1

N	ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ტრაინიკი მოგრძო9 3G 6A	ცალი	5	5.2	26
2	soc8-5699 დამაგრძელებელი linus 5-ადგილიანი 5 მტრ კაბელით	ცალი	5	12	60
		სულ:			86

„შემსყიდველი“:

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო“

მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29-29ა; მე-3 სართული;

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ TRESGE22

ა/ა GE24NB0330100200165022,

ს/კ 404905475

დირექტორი

_____ კახაბერ გვანცელაძე

„მიმწოდებელი“:

შპს „ბი ემ სი გორგია“,

მისამართი: თბილისი. წერეთლის გამზ. 140

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი“

ბანკის კოდი:

TBCBGE22

ა/ა GE62TB1007536020100008

ს/კ 245621288

დირექტორის მინდობილი პირი

_____ ლევან გელაშვილი